საყვედური ახალგაზრდებისადმი

თბილისი, "ლოკომოტივის" სტადიონი. 17 ივნისი.

"დინამო" (თბილისი)–ოლიმპიური ნაკრები (უნგრეთი) 0:2 (0:0).

"დინამო", ჩლაიძე, ბუძიშვილი (გოგიჯანაშვილი), ჭელიძე, კანთელაძე, პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე (გ. მაჩაიძე), ასათიანი, ყიფიანი, რეხვიაშვილი, ლ. ნოდია (წერეთელი).

ოლიმპიური ნაკრები: ხოიდუ, ტიორეკი, მაურერი, ლ. ხორვატი, დუნაი, ი. ხორვატი, ვოლეკი (კორშაი), ტაკაჩი, სუვოლეკი (ბეგეი), ბაშლი, ტოტი.

მსაჯი ი. სამუსენკოვი (მოსკოვი).

უნგრელთა სტუმრობა ჩვენს ქალაქში მრავალმხრივ იყო ღირსშესანიშნავი: ჯერ ერთი, დინამოელებს საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება გამოუვიდათ საკავშირო ჩემპიონატში და აუცილებლად სჭირდებოდათ ძლიერი სპარინგ–პარტნიორი ცსკა–სთან 23 ივნისის მატჩისთვის: მეორეც, თბილისის "დინამოს" ამ შემოდგომით უეფა–ს თასზე მოუწევს შეხვედრები და ასეთი კონტაქტები უცხოეთის გუნდებთან მისთვის აუცილებელია. ხომ შესაძლოა პირველივე მეტოქე სწორედ უნგრეთის რომელიმე კლუბი იყოს?

უნგრული ფეხბურთის ავტორიტეტი საყოველთაოდ ცნობილია. ამ ქვეყნის ნაკრები სამჯერ იყო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სულ ახლახან კი უნგრელები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობდნენ. ესე იგი, დინამოელებს 17 ივნისს საინტერესო და ძლიერი მეტოქე ჰყავდათ.

უნგრელებმა თბილისში ჩამოსვლამდე "არარატს" სძლიეს ერევანში, ამასთან, საკმაოდ უჩვეულო სხვაობით – 5:4. თუ ამ ანგარიშით ვიმსჯელებთ, სავარაუდო იყო, რომ სტუმრებს ძალიან ძლიერი თავდასხმა უნდა ჰყოლოდათ, ხოლო დაცვა –შედარებით სუსტი. მაგრამ მატჩმა ამ ვარაუდის მხოლოდ 50 პროცენტი გაამართლა: უნგრელებს ჰყავდათ ძლიერი თავდასხმა და არანაკლებ სოლიდური დაცვა. ყოველ შემთხვევაში, მისი დაძლევა დინამოელებმა ვერ შეძლეს.

"დინამო" შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა. თავად განსაჯეთ: გუნდს აკლდნენ გოგია, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი. გუცაევი, გ. ნოდია, კუტივაძე, ებრალიძე... ეს თითქმის მთელი გუნდია და, ამდენად, წაგებისაც საფუძვლიანი ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ მით უფრო მეტი მონდომება, ენერგია და თავდადება უნდა გამოეჩინათ ახალგაზრდებს, რომლებსაც ევალებოდათ ღირსეულად შეეცვალათ ძირითადი მოთამაშეები, ყველაფერი ეღონათ კოლექტივის წარმატებისთვის. მათ კი ეს არ მოინდომეს და ერთობ უფერულად უხალისოდ ითამაშეს. მათ ვერ გაამართლებს, ვინაიდან საქმე ეხება არა ფეხბურთელთა საერთო ინდივიდუალურ კლასსა და უნარს, არამედ, ვიმეორებთ, მონდომებას, მობილიზებას, ბრძოლისუნარიანობას.

ჩვენი გუნდის დაცვაში ხშირი იყო ტაქტიკური შეცდომები, ნახევარდაცვაში ასათიანის გარდა არავინ ცდილობდა კომბინაციური ურთიერთობები დაემყარებინა თავდასხმასთან. მჭედლიშვილი, მაგალითად, ბურთის გაუთავებელი, უთავბოლო ტარებით იყო გართული და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას, თუ როგორ იყვნენ განლაგებული მინდორზე პარტნიორები, ვინ როდის და სად "იხსნებოდა" ბურთის მისაღებად. სუსტად ითამაშა რეხვიაშვილმა, რომელიც სისტემატურად აყოვნებდა კარში დარტყმას თუმცა საამისო შესაძლებლობა მათ არაერთხელ შეექმნა.

ერთი სიტყვით, დინამოელთა ახალგაზრდებმა ვერ გაამართლეს იმედები. თუ პირველ ტაიმში ისინი ასე თუ ისე ირძოდნენ, შესვენების შემდეგ მთლიანად დათმეს მინდორი...

მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო წუთებში. ჯერ ი. ხორვატმა ძელს მოახვედრა ბურთი, მერე, 83–ე წუთზე ბეგეის შორეულმა დარტყმამ მიაღწია მიზანს, დასასრულს კი კორშაიმ კარგად გამოიყენა კუთხური მოწოდება როცა მაღალ ბურთზე არც მეკარე გამოვიდა წინ, არც მცველები ჩაებნენ ბრძოლაში, მეორე გოლი გაიტანა.

ი. ქორიძე
“ლელო” 20.06.1972 წ.